ძალადაკარგულია
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
12/30/2014 N 20-89
დადგენილებით

შეტანილია ცვლილებები
ქ. თბილისის საკრებულოს
01/22/2007 N1-8
გადაწყვეტილებით

საქ. იუსტიციის სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და
მინიჭებული აქვს სახელმწიფო
სარეგისტრაციო კოდი
2007 წლის 9 იანვარი
010.270.050.36.101.009.787

ქალაქ თბილისის საკრებულო
გადაწყვეტილება N 4-27
2006 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9^1 მუხლის მე-2 პუნქტის "კ" ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დედაქალაქში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

2. მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.

3. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო

საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ქ. თბილისის მთავრობამ:

ა) განსაზღვროს გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები და ამისათვის განახორციელოს საჭირო ღონისძიებები;

ბ) შეიმუშაოს სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობის ორგანიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) "ქ. თბილისის ტერიტორიაზე მსუბუქი ტიპის არქიტექტურული ფორმების განთავსებისას საერთო სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთების გამოყენების წესის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 2002 წლის 29 მაისის N6-3 გადაწყვეტილება;

ბ) "ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ნებართვის გაცემისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 20 ივნისის N10-2 გადაწყვეტილება;

გ) "ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 30 იანვრის N2-6 გადაწყვეტილება;

დ) "ქ. თბილისში დროებითი სტაციონარების განლაგების რეგულირებისა და გარე ვაჭრობის მოსაკრებლის დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის N4-5 გადაწყვეტილება.

6. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე *ზ. ბეგაშვილი*

საკრებულოს მდივანი *თ. ქურხული*